ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი № 7

26 დეკემბერი 2025 წ. **ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2**
12:00 სთ

მოწვეული სტუმარი:
საფინანსო საქალაქო სამსახური-გაიოზ თალაკვაძე
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი- გიორგი კობიაშვილი
თბილისის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი- შალვა ლომსაძე
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე.
კომისიის წევრები- გიორგი დოხტურიშვილი, ბექა მიქაუტაძე,ზურაბ აბაშიძე, ლევან აბაშიძე, მამუკა ხაბარელი, დავით ფანჯაკიძე, ირაკლი ბენდელიანი
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.
დღის წესრიგი:
1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.საკრ.№12-0325358155-03 25/12/2025
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ. საკრ.№12-0325358130-03 24/12/2025
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ. საკრ.№12-0325358130-03 24/12/2025
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.საკრ.№12-0325358132-03 24/12/2025
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.თაობაზე.საკრ.№12-0325358132-03 24/12/2025
6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2026 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ. საკრ.№12-0325358132-03 24/12/2025
7. ,,ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.001) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე".საკრ.№12-032535910-03 24/12/2025
8. ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქ. N23ა-ში მდებარე N1 და N8 ბინების (საკადასტრო კოდები: 01.12.12.001.407.01.01.001; 01.12.12.001.407.01.01.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე
საკრ.№12-0325358144-03 24/12/2025
9. ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქუჩა N3-3-ში მდებარე N66 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.066) და ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წულუკიძის ქუჩა N27-ში მდებარე N7 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.264.01.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.საკრ.№12-0325358148-03 24/12/2025
10. ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრო/რაიონი; ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის მდებარე N26 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.36.016.011.01.01.026), ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქ. N22-ში მდებარე N125 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.963.01.01.125) და ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქ. N58-ში მდებარე N22 და N112 ბინების (მშენებარე) (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078.01.01.022; N01.12.12.002.078.01.01.112) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე . საკრ.№12-0325358145-03 24/12/2025

11. ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.12.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიემესისთვის“ (ს/ნ: 404895716) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ.№12-0325358920-03 25/12/2025

12. ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა N11-ის მიმდებარედ 15 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.063.055) 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნარიყალასთვის“ (ს/ნ: 204380678) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.საკრ.№12-0325358132-03 24/12/2025

13. ქალაქ თბილისში, ეკლესიის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.12.13.050.003) ტერიტორიაზე 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გეოენერჯი-სერვის კომპანისთვის“ (ს/ნ 406448642) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე საკრ.№12-0325358149-03 24/12/2025

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ. საკრ.№12-0325358146-03 24/12/2025

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ.საკრ.№12-0325358147-03 24/12/2025

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ბრბ სოლარს“ (ს/ნ 404746673) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-3-30671 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ.საკრ.№12-0325358151-03 24/12/2025

17. „ქ. თბილისში, ვერის პარკში მდებარე განსაზღვრული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.115, №01.15.03.010.114) შპს „გრატო მენეჯერისთვის“ (ს/ნ: 404920387) და შპს „სანისთვის“ (ს/ნ: 406033983) აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №01-4/47 ბრძანების დანართით განსაზღვრულ აღნაგობის პირობებში ცვლილებების შეტანისა და შპს „ხულიგანას“ (ს/ნ: 404386133) მიმართ გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე. საკრ.№12-0325358150-03 24/12/2025

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „კორტების“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.საკრ.№12-0325358152-03 24/12/2025

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს“-ს (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ. საკრ.№12-0325358153-03 24/12/2025

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არომას“ (ს/ნ: 245599990) შორის 2022 წლის 23 აგვისტოს გაფორმებულ „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ: 245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ . საკრ.№12-0325358154-03 24/12/2025

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს“ (ს/ნ 405147755) შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურების საკითხის მოწონების შესახებ. საკრ.№12-0325358134-03 24/12/2025

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
საკრ.№12-0325358142-03 24/12/2025

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, რომლის ფარგლებში უცვლელად ნარჩუნდება ქონების გადასახდის შეღავათიანი განაკვეთი (0,001%) სპორტის დარგში მომსახურე ეკონომიკური აგენტებისა და თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფრეოებში ადგილობრივი საქალაქო რეგულერი სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი სუბუექტისათვის.
აღნიშნული განაკვეთის მოქმედების ვადა გაგრძელდება 2028 წლის 1 იანვრამდე და გაგრძელდება 2025 წლის 1 იანვრიდან 2028 წლის 1 იანვრამდე წარმოშობის საგადასახადო ვალდებულებებზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკრებულოს დადგენილების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით,“საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, 2026 წელს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების განსაზღვრის მიზნით საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1600 ლარის ოდენობით, შესაბამისად ორგანიზაციის საშტატო განრიგით განსაზღვრული კოეფიციენტი უნდა გადამრავლდეს საბაზო თანამდებობრივ სარგოზე 1600 ლარზე და აღნიშნულის გათვალისწინებით განისაზღვროს მოხელის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო. ყოველივე აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მომზადდა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ. საკრებულოს დადგენილების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს:“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ამ შემთხვევაში წარმოდგენილია ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“საკრებულოს დადგენილების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი-შალვა ლომსაძე

შალვა ლომსაძის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივ სარგოებში ხორციელდება ცვლილება. კერძოდ, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის N5-8 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგო იზრდება, ვინაიდან „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2026 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო გაიზარდა 10%-ით და განისაზღვრა 1600 ლარის ოდენობით.

აღნიშნული ცვლილების მიზანია საკრებულოს თანამდებობის პირთა და პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე ოპტიმიზაციის მიზნით ხორციელდება რამოდენიმე შიდა ტექნიკური ცვლილება, რითაც საშტატო რიცხვოვნობა არ იცვლება.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საკრებულოს დადგენილების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.თაობაზე.

მომხსენებელი-შალვა ლომსაძე

შალვა ლომსაძის განმარტებით, ვინაიდან „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2026 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო იზრდება 10%-ით და განისაზღვრება 1600 ლარის ოდენობით, მიზანშეწონილია ასევე განხორციელდეს ცვლილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში. მაჟორიტარული სისტემით არჩეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წარმომადგენლობის ფუნქციონირებისთვის, თბილისის ბიუჯეტიდან, საკრებულოსთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, ყოველთვიურად გამოყოფილი თანხების ოდენობა, განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, შესაბამისად შედის ცვლილება „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებაში, ასევე ხორციელდება ცვლილება საკრებულოს წევრების მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობის ნაწილში.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.თაობაზე. საკრებულოს დადგენი;ების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2026 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ.

მომხსენებელი-შალვა ლომსაძე

შალვა ლომსაძის განმარტებით,ძალადაკარგულად ცხადდება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2025 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N723 განკარგულება. და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისათვის, 2026 წელს შრომითი ხელშეკრულებით პირთა ასაყვანად, წესდება ახალი წლიური სახელფასო ლიმიტები.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2026 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" საკითხის **საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.001) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე".

მომხსენებელი- გიორგი კობიაშვილი

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.001) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 2 პირს (2ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 73.78 კვ.მ ფართი;

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნილი პირები 25 წელი ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა ,,ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.001) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე", საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქ. N23ა-ში მდებარე N1 და N8 ბინების (საკადასტრო კოდები: 01.12.12.001.407.01.01.001; 01.12.12.001.407.01.01.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- გიორგი კობიაშვილი

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, წარმოდგენილი საკითხი არის თბილისში ყიფშიძის ქ. N5ბ-სა და N5დ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორიის დაუსრულებელ მშენებლობის შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული N45 ბინის (ს/კ: 01.14.14.003.143.01.045) მესაკუთრემ: ლევან აჯიაშვილმა და აღნიშნული ბინის თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ, ითხოვა ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქ. N23ა-ში მდებარე N1 და N8 ბინების (საკადასტრო კოდები: 01.12.12.001.407.01.01.001; 01.12.12.001.407.01.01.008) საკუთრებაში გადაცემა.

აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული 69.40 კვ.მ ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.045) საბაზრო ღირებულება, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით განისაზღვრა 270868.2 ლარის ოდენობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული ბინები (საკადასტრო კოდები: N01.12.12.001.407.01.01.001; N01.12.12.001.407.01.01.008) შეფასდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, და მათი საბაზრო ღირებულებები, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით განისაზღვრა ჯამურად: 269253 ლარით.

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნული პირისთვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და მის ფართზე მისი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქ. N23ა-ში მდებარე N1 და N8 ბინების (საკადასტრო კოდები: 01.12.12.001.407.01.01.001; 01.12.12.001.407.01.01.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" , საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქუჩა N3-3-ში მდებარე N66 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.066) და ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წულუკიძის ქუჩა N27-ში მდებარე N7 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.264.01.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, წარმოდგენილი საკითხი ეხება თბილისში ყიფშიძის ქ. N5ბ-სა და N5დ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორიის დაუსრულებელ მშენებლობას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 87 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.001.060) მესაკუთრემ - ლიდია ყურაშვილმა და აღნიშნული ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N66 ბინის (მშენებარე) (ს/კ: 01.12.12.001.414.01.01.066) და ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქ. N35-ის მიმდებარედ N7 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.002.264.01.01.007) საკუთრებაში გადაცემა.

აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.032) საბაზრო ღირებულება შეადგენს 339561 ლარს; სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, N01.12.12.001.414.01.01.066 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის საბაზრო ღირებულება, განისაზღვრა 189968 ლარის ოდენობით. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, N01.17.10.002.264.01.01.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის საბაზრო ღირებულება, განისაზღვრა ჯამურად: 335614 ლარით.

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნული პირისთვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და მის ფართზე მისი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქუჩა N3-3-ში მდებარე N66 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.066) და ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წულუკიძის ქუჩა N27-ში მდებარე N7 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.264.01.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრო/რაიონი; ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის მდებარე N26 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.36.016.011.01.01.026), ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქ. N22-ში მდებარე N125 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.963.01.01.125) და ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქ. N58-ში მდებარე N22 და N112 ბინების (მშენებარე) (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078.01.01.022; N01.12.12.002.078.01.01.112) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე .

მომხსენებელი- გიორგი კობიაშვილი

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, წარმოდგენილი საკითხი არის თბილისში ყიფშიძის ქ. N5ბ-სა და N5დ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორიის დაუსრულებელ მშენებლობის შესახებ.

ამ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 122 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.044) თანამესაკუთრებმა - ბორის ნემსიწვერიძემ და სერგო ნაზაროვმა და აღნიშნული ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვეს სანაცვლო ფართების საკუთრებაში გადაცემა ერთმანეთთან შეთანხმებული განაწილებით: ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქ. N1-ში (დღეისათვის რეგისტრირებული ახალი მისამართით: გიორგი ჭყონდიდელის ქ. N58) მდებარე N22 და N112 ბინების (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078.01.01.022; N01.12.12.002.078.01.01.112) გადაცემა სერგო ნაზაროვისთვის; ხოლო, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრო/რაიონის მიმდებარე N26 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.19.36.016.011.01.01.026) და ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსნის ქ. N22, N24-ში მდებარე N125 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.963.01.01.125) გადაცემა - ბორის ნემსიწვერიძისთვის.

აღნიშნული 122 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.02.021) საბაზრო ღირებულება შეადგენს 476166 ლარს. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, N01.12.12.002.078.01.01.022; N01.12.12.002.078.01.01.112, N01.19.36.016.011.01.01.026 და N01.72.14.035.963.01.01.125 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები, ჯამურად: 474675 ლარს.

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნულ პირთათვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას მათ მიერ მოთხოვნილი განაწილებით, და მათ ფართზე მათი თანასაკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრო/რაიონი; ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის მდებარე N26 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.36.016.011.01.01.026), ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქ. N22-ში მდებარე N125 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.963.01.01.125) და ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქ. N58-ში მდებარე N22 და N112 ბინების (მშენებარე) (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078.01.01.022; N01.12.12.002.078.01.01.112) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე:, საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე**

მოისმინეს: ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.12.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიემესისთვის" (ს/ნ: 404895716) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- გიორგი კობიაშვილი

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, შპს „ბიემესის" (ს/ნ: 404895716) იჯარის ფორმით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემა ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.11.12.013.048) სარგებლობის უფლებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრიდან წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით, შპს „ბიემესის" საკუთრებაშია ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N23-ში , N01.11.12.013.040 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე მსუბუქი კონსტრუქციის კაფეს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, სააგენტოს წარედგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად არქიტექტურის სამსახური არ არის წინააღმდეგი ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.12.013.048) მსუბუქი კონსტრუქციის კაფეს ფუნქციონირების მიზნით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე იმ პირობით თუ დაცული იქნება ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 35-ე მუხლის მოთხოვნები.

წარმოდგენილი პროექტით, შესათანხმებლად წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, შპს „ბიემესისთვის" (ს/ნ: 404895716) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, მსუბუქი კონსტრუქციის კაფეს ფუნქციონირების მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.12.013.048) 5 წლის ვადით, გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 17 760 ლარით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.12.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიემესისთვის" (ს/ნ: 404895716) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა N11-ის მიმდებარედ 15 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.063.055) 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნარიყალასთვის" (ს/ნ: 204380678) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- გიორგი კობიაშვილი

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, შპს „ნარიყალას" (ს/ნ: 204380678) ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა N11-ის მიმდებარედ 15 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.063.055) 2 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაცემა სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით . საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრიდან წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით, შპს „ნარიყალას" (ს/ნ: 204380678) საკუთრებაშია ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა N11/ბოტანიკურის ქუჩა N13-ში, N01.18.03.063.003.03.500 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 37.88 კვ.მ ფართი.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ ,რომლის გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისში, „ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა N11-ის მიმდებარედ 15 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.063.055) 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

წარმოდგენილი პროექტით, შესათანხმებლად წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, შპს „ნარიყალასთვის" (ს/ნ: 204380678) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა N11-ის მიმდებარედ 15 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.063.055) 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის 5 (ხუთი) წლის ვადით, გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 600 ლარით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა N11-ის მიმდებარედ 15 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.063.055) 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნარიყალასთვის" (ს/ნ: 204380678) სარგებლობის უფლებით, იჯარის

ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ეკლესიის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.12.13.050.003) ტერიტორიაზე 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გეოენერჯი-სერვის კომპანისთვის" (ს/ნ 406448642) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- გიორგი კობიაშვილი

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ეკლესიის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.12.13.050.003) ტერიტორიაზე 20 კვ.მ მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაეცემა შპს „გეოენერჯი-სერვის კომპანიას" (ს/ნ 406448642) , „თელასის" ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სატრანსფორმატორო ქვესადგურის დემონტაჟის და მის ადგილზე ახალი ქვესადგურის მშენებლობისთვის.

მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურია სიმბოლური ფასი - 1 (ერთი) ლარი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა,ქალაქ თბილისში, ეკლესიის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.12.13.050.003) ტერიტორიაზე 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გეოენერჯი-სერვის კომპანისთვის" (ს/ნ 406448642) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე,საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის" (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი- გიორგი კობიაშვილი

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის" (ს.ნ.: 404561568;) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებული №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებული აუქციონის" ხელშეკრულების საფუძველზე, მოიჯარეს 10 წლის ვადით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცა ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული 66 ერთეული უძრავი ქონება.

ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს საიჯარო ქონებაზე (თითოეულ მიწის ნაკვეთზე) არანაკლებ 30 კვტ. დადგმულ სიმძლავრეზე გათვლილი ელექტრომობილის დასამუხტი ჭკვიანი აპარატის განთავსება, მომხმარებლისათვის შესაბამისი სერვისის მიწოდების მიზნით.

ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, 2025 წლის 02 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა გაიზარდა 2025 წლის 30 დეკემბრამდე.ხოლო არაუგვიანეს 2025 წლის 11 დეკემბრისა უნდა უზრუნველყო ქ. თბილისში, ჟ. შარტავას №7-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში ავტომობილისთვის განკუთვნილ შესაბამის საპარკინგე სივრცეში ერთი ერთეული დამტენის საკუთარი ხარჯებით განთავსება და დამოუკიდებლად ფუნქციონირებად მდგომარეობაში მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოს საკუთრებაში გადაცემა (ხელშეკრულების 4.2 პუნქტი). აღნიშნული ვალდებულება კომპანიის მიერ შესრულდა.

დამტენამდე ელექტროენერგიის მიყვანის თაობაზე კომპანიას მიმართული აქვს ელექტროენერგიის ლიცენზიანტისათვის (სს „თელასი") შესაბამისი განცხადებებით. განცხადებების განხილვისას გამოვლინდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანოებთან დაკავშირებული რიგი პრობლემური საკითხები, რაც ხელს უშლის საიჯარო ქონებამდე ელექტროენერგიის მიყვანას და შესაბამისად, მასზე დამტენის განთავსებას.

რიგ შემთხვევაში, პრობლემას წარმოადგენს ახლად რეაბილიტირებული ქუჩები და ტროტუარები - ლიცენზიანტი ვერ იღებს თანხმობას ქსელის მოწყობის მიზნით ტროტუარის ან/და ასფალტის საფარის დაზიანებაზე - მათ შორის, ზოგიერთ შემთხვევაში, ახლად რეაბილიტირებულ ქუჩაზე საგარანტიო პერიოდის მოქმედების გამო;

ზოგიერთ შემთხვევაში, მიწის გათხრითი სამუშაოების ალტერნატივად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ ქსელის მონტაჟი გვირაბული მეთოდის გამოყენებით, თუმცა აღნიშნული მეთოდით სამუშაოების წარმოება ზოგიერთ ქონებასთან მიმართებით შეუძლებელია ან არ არის მიზანშეწონილი.

ყოველივეს გათვალისწინებით, დამტენისათვის აუცილებელი ელექტროენერგიის ქსელის მოწყობისათვის შესაბამისი ნებართვების / თანხმობების მოსაპოვებლად და შემდგომ დამტენების ფაქტობრივად დამონტაჟებისათვის აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გონივრული პერიოდით გაზრდა. წარმოდგენილი პროექტით, ხელშეკრულებაში შედის შემდეგი ცვლილებები:

შესაბამისი ნებართვების / თანხმობების მოპოვების ვადა იზრდება 2025 წლის 30 ნოემბრიდან 2026 წლის 01 მაისამდე;

დამტენების განთავსებისა და ფუნქციონირების დაწყების ვადა იზრდება 2025 წლის 31 დეკემბრიდან 2026 წლის 01 ივნისამდე;

მომხრე-8
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის" (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ, საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**
მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის" (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ.
მომხსენებელი- გიორგი კობიაშვილი
გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტი, წინა საკითხის ანალოგიურია.
ამ შემთხვევაში წარმოდგენილი პროექტით, ხელშეკრულებაში შედის შემდეგი ცვლილებები:

შესაბამისი ნებართვების / თანხმობების მოპოვების ვადა იზრდება 2025 წლის 30 ნოემბრიდან 2026 წლის 01 მაისამდე;

დამტენების განთავსებისა და ფუნქციონირების დაწყების ვადა იზრდება 2025 წლის 31 დეკემბრიდან 2026 წლის 01 ივნისამდე;

მომხრე-8
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის" (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ,საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**
მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ბრბ სოლარს" (ს/ნ 404746673) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-3-30671 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ.
მომხსენებელი- გიორგი კობიაშვილი
გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით არის წინა საკითხის ანალოგიური.
წარმოდგენილი პროექტით, ხელშეკრულებაში შედის შემდეგი ცვლილებები:
შესაბამისი ნებართვების / თანხმობების მოპოვების ვადა იზრდება 2025 წლის 30 ნოემბრიდან 2026 წლის 01 მაისამდე;
დამტენების განთავსებისა და ფუნქციონირების დაწყების ვადა იზრდება 2025 წლის 31 დეკემბრიდან 2026 წლის 01 ივნისამდე.
მომხრე-8
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ბრბ სოლარს" (ს/ნ 404746673) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-3-30671 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ,საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**
მოისმინეს: „ქ. თბილისში, ვერის პარკში მდებარე განსაზღვრული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.115, №01.15.03.010.114) შპს „გრატო მენეჯერისთვის" (ს/ნ: 404920387) და შპს „სანისთვის" (ს/ნ: [illegible]) [illegible] ფლობით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების

მართვის სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №01-4/47 ბრძანების დანართით განსაზღვრულ აღნაგობის პირობებში ცვლილებების შეტანისა და შპს „ხულიგანას“ (ს/ნ: 404386133) მიმართ გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე.

მომხსენებელი-გიორგი კობიაშვილი

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის, შპს „გრატო მენეჯერს“ (ს/ნ: 404920387) და შპს „სანის“ (ს/ნ: 406033983) (უფლებამონაცვლე: შპს „ხულიგანა“, ს/ნ: 404386133,) დროებით სარგებლობაში, 48 წლის ვადით, გადაეცათ ქ. თბილისში, ვერის პარკში მდებარე 1183 კვ.მ. (ს/კ: №01.15.03.010.115) და 32 კვ.მ. (ს/კ: №01.15.03.010.114) მიწის ნაკვეთები, საფეხბურთო მოედნისა და ორ სართულიანი შენობის განთავსების მიზნით.

ხელშეკრულებით განსაზღვრული აღნაგობის პირობების 3.1 და 3.2 პუნქტების შესაბამისად, ყოველწლიური აღნაგობის უფლების ღირებულება შეადგენს 37 665 ლარს, რომლის გადახდაც უნდა განხორციელდეს თანაბარწილად ყოველ ექვს თვეში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი ექვსთვიანი პერიოდის გასვლის უკანასკნელი დღისა. აღნაგობის პირობების 10.1 პუნქტის შესაბამისად, აღნაგობის უფლების ღირებულების გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განსაზღვრულია გადასახდელი თანხის 0.1 %-ის, მაგრამ არანაკლებ 1 (ერთი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

გადასახდელი სარგებლობის საფასურის, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადასახდელად განესაზღვრა გეგმა-გრაფიკი. იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ხულიგანამ“ დაარღვია განწილვადებული თანხის გეგმა-გრაფიკის შესაბამისად გადახდის პირობა, მოაღნაგეს გადასახდელად ერიცხება განწილვადებული თანხის ნაწილი - 57 864 ლარი. ასევე, გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო აღდგენილი პირგასამტეხლო - 132 188,89 ლარი.

შპს „ხულიგანამ“ მოითხოვა განწილვადებული თანხიდან დარჩენილი 57 864 ლარის 2026 წლის 1 იანვრიდან 2028 წლის 15 დეკემბრამდე პერიოდზე განწილვადება და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება იმ საფუძვლით, რომ წლების განმავლობაში მოაღნაგის მიერ ჯეროვნად სრულდებოდა ვალდებულებები, განწილვადებული თანხის 70% უკვე გადახდილია და აპირებს დარჩენილი ნაწილის გადახდასაც, რაშიც ხელი შეეშალა მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო.

გარდა ამისა, მოაღნაგე უთითებს რომ ვერის ბაღში მიმდინარე რეაბილიტაციის გამო, 2025 წლის 5 ივლისიდან ბაღი იყო დაკეტილი , რის გამოც ქვემოიჯარე ვერ სარგებლობდა გადაცემული ქონებით და არ იხდიდა საიჯარო ქირას. აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „ხულიგანა”-ს არ ჰქონდა შემოსავალი და მიადგა ზიანი. შესაბამისად, მოაღნაგე ითხოვს 2025 წლის 5 ივლისიდან ვერის ბაღის რეაბილიტაციის დასრულებამდე (2025 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით) სარგებლობის საფასურისგან - 9 184 ლარისგან გათავისუფლებას.ასევე, ითხოვს საფეხბურთო მოედნის ნაცვლად რამდენიმე პადელის კორტების მოწყობას, იმ საფუძვლით, რომ ერთი მხრივ, შენარჩუნებული იქნება სპორტული პროფილი, ხოლო მეორე მხრივ გაუმჯობესდება მოაღნაგის მატერიალური მდგომარეობა, რაც ასევე აისახება ფინანსური ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა „ქ. თბილისში, ვერის პარკში მდებარე განსაზღვრული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.115, №01.15.03.010.114) შპს „გრატო მენეჯერისთვის“ (ს/ნ: 404920387) და შპს „სანისთვის“ (ს/ნ: 406033983) აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის №01-4/47 ბრძანების დანართით განსაზღვრულ აღნაგობის პირობებში ცვლილებების შეტანისა და შპს „ხულიგანას“ (ს/ნ: 404386133) მიმართ გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე ,საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „კორტების“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი-გიორგი კობიაშვილი

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2021 წლის 26 ნოემბერს გაცემული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-624-1-27208 ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) საფუძველზე, სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს.ნ.: 405493194,) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დაიდო „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიანი ხელშეკრულება“, რომლის საფუძველზეც, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, მ. თამარაშვილის ქუჩა №13-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7 174 კვ.მ.

01.10.16.004.282. აუქციონის შედეგების გათვალისწინებით, ქონების საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 2 635 944 ლარის ოდენობით.
ხელშეკრულებით მყიდველმა იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის: ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) წლის ვადაში ქონებაზე სპორტული კომპლექსის, მათ შორის, არანაკლებ 3 (სამი) საჩოგბურთო კორტის (ღია ან დახურული), საცურაო აუზის, ფიტნეს-დარბაზის, ასევე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დანიშნულებისა და სპორტულ კომპლექსთან დაკავშირებული სივრცეების მშენებლობა, ექსპლუატაციაში მიღება, მოწყობა, შესაბამისად აღჭურვა და ამ მიზნით, არანაკლებ 5 000 000 ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება.
სააგენტოსა და მყიდველს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, მყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობის ვადა გაიზარდა 2026 წლის 01 ივნისამდე. აღნიშნული ცვლილების ფარგლებში მხარეები შეთანხმდნენ, რომ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მყიდველს დაეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო 167 500 ლარის ოდენობით. ამავე ცვლილების ფარგლებში განისაზღვრა ხელშეკრულების №1 და №2 დანართების შესაბამისად შენობის ფასადის ძირითადი ნაწილის (მოსაპირკეთებელი სამუშაოების) დასრულების ვალდებულებაც, არაუგვიანეს 2025 წლის 30 სექტემბრისა. გარდა ამისა, შეთანხმება №1-ის მე-2 პუნქტის საფუძველზე ასევე დადასტურდა მყიდველის მიერ ხელშეკრულების 3.2.1.2 ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულება (5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება).
გარდა ამისა, 2025 წლის 17 სექტემბერს სააგენტოსა და მყიდველს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, მყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობის ვადა გაიზარდა 2026 წლის 1 სექტემბრამდე და ასევე, პროექტის ფარგლებში ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის, ასევე არანაკლებ 3 (სამი) ერთეული საჩოგბურთო კორტის (ხელშეკრულების №1 და №2 დანართებით გათვალისწინებული პარამეტრებისა და ვიზუალის შესაბამისად) მშენებლობა/მოწყობის ვადად განისაზღვრა - არაუგვიანეს 2025 წლის 30 დეკემბერი.
მყიდველმა მიმართა სააგენტოს განცხადებით და განმარტა, რომ იმის მიუხედავად, რომ კომპანია აქტიურად აწარმოებს სამშენებლო სამუშაოებს, კონტრაქტორმა კომპანიამ (შპს „სპორტული სტრუქტურები"), რომელიც საპროექტო ტერიტორიაზე უზრუნველყოფს კორტების მშენებლობას, მოცემული კლიმატური პირობებისა და საერთაშორისო ასოციაციების მიერ დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად არ მიიჩნია კორტების სამშენებლო სამუშაოების განხორციელება 2026 წლის გაზაფხულამდე.
მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, კომპანიამ ითხოვა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, 3.2.1.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული შუალედური ეტაპისა (არაუგვიანეს 2025 წლის 30 დეკემბრისა, პროექტის ფარგლებში ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის, ასევე არანაკლებ 3 (სამი) ერთეული საჩოგბურთო კორტის მშენებლობა/მოწყობა ხელშეკრულების №1 („მოპირკეთების სამუშაოები") და №2 („ესკიზი") დანართებით გათვალისწინებული პარამეტრებისა და ვიზუალის შესაბამისად) და ასევე მისი დასრულებისთვის განსაზღვრული ვადის გაუქმება, იმ პირობით, რომ აღნიშნული სამუშაოები და ასევე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა დასრულება ხელშეკრულების 3.2.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ძირითად ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრამდე.
წარმოდგენილი პროექტით,ცვლილება შედის ხელშეკრულებაში განკარგულებაზე თანდართული შეთანხმების პირობების შესაბამისად;
შპს „კორტები" გათავისუფლება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" (ს.ნ.: 405493194) შორის 2025 წლის 30 აპრილს გაფორმებული შეთანხმების მე-3 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" (ს.ნ.: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულების" 4.2.5 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული, ჯამურად - 34 500 ოდენობით პირგასამტეხლოსგან.
მომხრე-8
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „კორტების" გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს:„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს"-ს (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ.

მომხსენებელი-გიორგი კობიაშვილი

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს"-ს (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 დეკემბრის N25.2282.2559 განკარგულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

წარმოდგენილი პროექტით შეიცვალა მშენებლობის ნებართვის ლოტებით განსაზღვრული დასრულების ვადები.

ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.4.1,, 3.4.2, 3.4.3 და 3,7 პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„3.4.1 ლოტი I – სრული სამშენებლო ფართის არანაკლებ 20%-ის მშენებლობა უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2026 წლის 30 ივნისისა (ლოტი I მოიცავს N01.14.01.008.096; N01.14.01.008.097 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს)".

„3.4.2 ლოტი II – სრული სამშენებლო ფართის არანაკლებ 30%-ის მშენებლობა უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2027 წლის 31 მარტისა (ლოტი II მოიცავს N01.14.01.008.095; N01.14.01.008.094 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს)".

„3.4.3 ლოტი III – სრული სამშენებლო ფართის არანაკლებ 20%-ის მშენებლობა უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრისა (ლოტი III მოიცავს N01.14.01.008.093; საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს)".

„3.7 კომპანია ვალდებულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციაში მიიღოს შესაბამისი ნებართვის საფუძვლზე შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულებიდან ოთხი თვის ვადაში. ამასთანავე, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო კომპანიას დაეკისრება მითითებული ვადის გასვლის შემდგომ, გარდა ხელშეკრულების 4.1.6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა მოისმინეს:„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს"-ს (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის" (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ" საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არომას" (ს/ნ: 245599990) შორის 2022 წლის 23 აგვისტოს გაფორმებულ „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და

საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ .

მომხსენებელი-გიორგი კობიაშვილი

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არომას“ (ს/კ: 245599990) შორის 2022 წლის 23 აგვისტოს გაფორმებულ „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ: 245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ს და ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.6.1. 3.6.2. და 3.6.3 პუნქტების პუნქტების ყალიბდება შემდეგი შინაარსით:

3.6.1. კომპანია ვალდებულია მშენებლობადასრულებული შენობა-ნაგებობ(ებ)იდან გადასაცემი (ჯამური 9000 კვ.მ) ფართის არანაკლებ ერთი მესამედი, ხელშეკრულების 3.10 პუნქტით განსაზღვრულ „თეთრი კარკასის“ მდგომარეობაში, ფაქტობრივად გადასცეს ამავე ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ პირებს არაუგვიანეს 2026 წლის 31 (ოცდათერთმეტი) დეკემბრის ჩათვლით.

3.6.2. სრული გადასაცემი ფართის ჯამურად არანაკლებ ორი მესამედი (3.6.1 ქვეპუნქტის საფუძველზე გადაცემულ ფართთან ერთობლიობაში) გადაცემულ უნდა იქნას არაუგვიანეს 2028 წლის 23 (ოცდასამი) აგვისტოს ჩათვლით.

3.6.3. სრული გადასაცემი ფართის დარჩენილი ოდენობა (3.6.1 და 3.6.2 ქვეპუნქტების საფუძველზე გადაცემულ ფართთან ერთობლიობაში) გადაცემულ უნდა იქნას არაუგვიანეს 2028 წლის 23 (ოცდასამი) აგვისტოს ჩათვლით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არომას“ (ს/ნ: 245599990) შორის 2022 წლის 23 აგვისტოს გაფორმებულ „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ: 245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ“, საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს“ (ს/ნ 405147755) შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურების საკითხის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი-გიორგი კობიაშვილი

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს“ (ს/ნ 405147755,) შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმდა „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულება“ (მასში 2020, 2022 და 2024 წლებში შესული ცვლილებების გათვალისწინებით,)რომლის საფუძველზეც, კომპანიას საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე 297 576 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.18.01.002.160).

№01.18.01.002.160 საკადასტრო ერთეულის მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან გაერთიანებისა და შემდგომ 3 ნაწილად დაყოფის შედეგად, პრივატიზებული ქონება დღევანდელი მდგომარეობით, მოქცეულია №01.18.01.002.348, №01.18.01.002.349 და №01.18.01.002.350 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ფარგლებში.

საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 6 326 495 ლარის ოდენობით, რომლის გადახდაც დადასტურებულია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემით.

ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები,

2025 წლის 05 დეკემბერს კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული ფოტომასალა და მოითხოვა განხორციელებული სამუშაოების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებად ჩათვლა და შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულებების შესრულების დადასტურება

კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დადასტურდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" (ს/ნ 405147755) შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 10 დეკემბრის №25.2100.2373 განკარგულებით.

წარმოდგენი;ი პროექტით მიზანშეწონილია კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურების საკითხის მოწონება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" (ს/ნ 405147755) შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 10 დეკემბრის №25.2100.2373 განკარგულების შესაბამისად.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" (ს/ნ 405147755) შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურების საკითხის მოწონების შესახებ", საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას" (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი-გიორგი კობიაშვილი

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 იანვრის N4 სხდომის ოქმით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსდაევალა ქალაქ თბილისში, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის/მოწესრიგების, საგზაო უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და გზის სავალი ნაწილის გაფართოების მიზნით კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდები: N01.15.03.004.034; N01.15.03.004.023 და N01.15.03.004.084) ადგილმონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით, შესაბამის პირებთან მოლაპარაკებების წარმოება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად წინადადებების წარდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 თებერვლის N24.256.291 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N43 განკარგულების საფუძველზე, სააგენტოსა და ქონების შემძენს შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმდა „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულება.

ხელშეკრულების საფუძველზე, ქონების შემძენს გადაეცა ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა №21-ში მდებარე 2 402 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.13.01.004.151), ხოლო სანაცვლოდ მუნიციპალიტეტმა მიიღო გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე (ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ) არსებული 234 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.15.03.004.084). ამასთან, ქონების შემძენის მიერ მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემული მიწის ნაკვეთის ღირებულება 225 846 ლარით აღემატება მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ქონების ღირებულებას.

ხელშეკრულების 4.3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი არ არის ვალდებული, ქონების შემძენს გადაუხადოს №01.13.01.004.151 და №01.15.03.004.084 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებების ფასთა შორის არსებული სხვაობა 225 846 (ორას ოცდახუთი ათას რვაას ორმოცდაექვსი) ლარის ოდენობით. ამასთან, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია" და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ითანამშრომლებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამისი უძრავი ქონების მოძიებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთვის" მისი საკუთრების ან სარგებლობის უფლებით (შესაბამისი ფორმით) გადაცემის მიზნით, ფასთა შორის სხვაობის შესაბამისი ქონების საბაზრო საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის (შესაბამისად) ანგარიშში ჩათვლის პირობით.

სააგენტოში წარდგენილი განცხადებით ქონების შემძენი მოითხოვს ხელშეკრულების (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით) 4.3 პუნქტით განსაზღვრული ვადის დამატებით 3 (სამი) თვით (2026 წლის 31 მარტის ჩათვლით) გაზრდას.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია ქალაქ თბილისის

ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ლევან არველაძე**